1017/3-79/22 2 07022022

1017/3-79/22
07-02-2022

საქართველოს რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის მინისტრს,

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვოთ გამცეთ წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. რა ეტაპზეა ბათუმი-ახალციხის გზის მშენებლობის პროცესი (ჩაშლილად, ანგისა - ხულოს, ხულო - დიდაჭარის, დიდაჭარა-ზარზმის მონაკვეთები)?
2. რა თანხები (ჩაშლილად) გაიხარჯა ამ დრომდე შესრულებული სამუშაოების განსახორციელებლად?
3. სამუშაოს განხორციელებაზე თუ ხორციელდება რაიმე ტიპის მონიტორინგი და თუ კი, რა შედეგები აჩვენა სამუშაოზე განხორციელებულმა მონიტორინგმა, კერძოდ, სრულდება თუ არა ყველა სამუშაო განსაზღვრული ვადებისა და ხარისხის მიხედვით?

პარლამენტის წევრი
ტარიელ ნაკაიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

741-01-2-202203091637

N 01/741
09/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ტარიელ ნაკაიძეს

ბატონო ტარიელ,

თქვენი 2022 წლის 7 თებერვლის №1017/3-79/22 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №611/01; 08.02.2022) პასუხად გაცნობებთ, რომ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის (ბათუმი - ახალციხის) სამშენებლო სამუშაოები დაყოფილია 3 ლოტად: ხულო - გოდერძის უღელტეხილის კმ0+000-კმ4+007 მონაკვეთი (ლოტი - 1.1), ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ5+195-კმ29+732 მონაკვეთი (ლოტი - 1) და გოდერძის უღელტეხილი-ზარზმას მონაკვეთი კმ0+000-კმ17+380 (ლოტი - 2).

ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ0+000-კმ4+007 მონაკვეთზე (ლოტი - 1.1) სამუშაოებს ახორციელებს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“. ამ ეტაპზე მიმდინაროებს მიწის სამუშაოები და ხელოვნური ნაგებობების (ხიდები, წყალგამტარები, სანიაღვრე არხები, საყრდენი კედლები) მოწყობის სამუშაოები. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“-სათვის ანაზღაურებულია 7 402 149.58 ლარი. სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას ახორციელებს ,,Egis International“. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ5+195-კმ29+732 მონაკვეთზე (ლოტი - 1) სამუშაოებს ახორციელებს ,,Sinohydro Corporation Limited (China)“. ამ ეტაპზე შესრულებულია მოსამზადებელი და მიწის სამუშაოები, ასევე მოწყობილია წყალგამტარი ნაგებობები და საყრდენი კედლები. ამ ეტაპზე ,,Sinohydro Corporation Limited (China)“-სათვის ანაზღაურებულია 2 506 454.23 აშშ დოლარი (რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღის არსებული კურსით შეადგენს 7 968 595.28 ლარს) და 7 332 934.47 ლარი. სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას ახორციელებს ,,IRD Engineering S.r.l.”. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

გოდერძის უღელტეხილი-ზარზმის მონაკვეთზე კმ0+000-კმ17+380 (ლოტი - 2), სამუშაოებს ასრულებს ,,Sinohydro Corporation Limited (China)“. ამ ეტაპზე შესრულებულია მოსამზადებელი და მიწის სამუშაოები. ასევე, მოწყობილია რკინა/ბეტონის წყალგამტარი ნაგებობები და საყრდენი კედლები. ,,Sinohydro Corporation Limited (China)“-სათვის ანაზღაურებულია 1 985 345.49 აშშ დოლარი (რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღის არსებული კურსით შეადგენს 6 342 324.13 ლარს) და 5 855 578.07 ლარი. სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას ახორციელებს ,,Joint Venture Pace (Kuwait) & Louis Berger SAS (France)“. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

კობა გაბუნია

მინისტრის მოადგილე